# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 151. | კვირა, 14 სექტემბერი 1903 წ. | გაზეთის № 2264.

# ყაჭობა

(სურათი გურიის ცხოვრებიდან)

1

— ნენავ, მშია, მშია, კატა მქვია, რომ გავძღები, როსტომ მქვია!—მხიარულად მიადგა პატარა ბავშვი სახლის კარებს და სიცილით შესძახა თავის დედას, რომელიც აბრეშუმის ჭიას თუთის ფოთოლს უყრიდა.

— კი, ნენავ, კი,—წაი ღომის ნალიას ქვეშ, დავაპურებ ამ ყაჭს და მუალ. ხომ იცი, კვერი მაქ ცეხლში ჩაგდებული! აკვირინას მუუარე, აკვირინას, ჩემო აპოლონ, ნენავ, ეგერ ჯილარიან ამირან და იგი ერთად.—ამ სიტყვებით მიუბრუნდა კარებისკენ თავის ათი წლის შვილს ჯერ კიდევ ახალგაზდა მომცრო ტანის ქალი.

ბავშვი უკმაყოფილოდ მოტრიალდა და გასწია ღომის ნალიისაკენ, რომელიც მოსჩანდა სახლის პირდაპირ მახლობლად. იქვე გვერდში ორი ბავშვი იჯდა და მტვერში მხიარულად თამაშობდა. ერთი იმათგანი ორის წლისა, ყველაზე უმცროსი, აკვირინე იყო. მეორე კი—უფროსი, ამირანი, იქნებოდა ასე ოთხის თუ ხუთის წლისა. ბავშვებს ორივეს გაეხადათ პერანგები, ტიტვლები ისხდნენ მიწაზე, იყრიდნენ პერანგებზე მტვერს. ზელდნენ ტალახს და ბედნიერები, სრულად მოთხუპნილნი, გულიანად ხარხარებდნენ.

დედამ გააყოლა თვალი მიმავალ აპოლონს, რომლის გამხდარ ტანზე ტანისამოსის მაგიერ რაღაც ნაფლეთები ეკიდა. ერთს წუთს სახეზე დაღონება გამოესახა, მაგრამ ისევ სწრაფად მიბრუნდა ყაჭისაკენ და, როცა კაბის კალთიდან მუჭით თუთის ფურცელი ამოიღო, იმისმა სახემ ისევ სიამოვნება გამოხატა. მხიარულის ღილინით გასწია მახლობელ ჩაფარისაკენ*) და დაუწყო ზედ თუთის ფოთოლს პნევა. პატარა ოთხ-კუთხედა ფიცრული მიწური სახლი სიმინდის ჩალისაგან დაღობილ, სამ სართულიან თაროებად იყო გადაქცეული, რომლებიც აბრეშუმის ჭიით იყო სავსე. ჭია ხარბად სჭამდა და აშრიალებდა თუთის მწვანე ფოთლებს. ქალი ცოცხლად გადადიოდა ერთი ჩაფარიდან მეორესაკენ, მხიარულად მიდი-მოდიოდა მათ შუა და უყრიდა ბლომად საჭმელს. ისე გართული იყო საქმეში, რომ სრულიად ვერ შეამჩნია, როგორ შემოვიდა სახლში ქმარი და დაღონებით შესცქეროდა იმის მოძრაობას.

— ჯვარი გიწერია, მარინე!—წარმოსთქვა შემოსულმა ბოლოს.



დაემორჩილე მშვიდობიანობას!—სურათი ბუტლერისა.

ქალი შეკრთა და მოიხედა უკან, მაგრამ, დაინახა თუ არა ქმარი, მხიარულად, თუმცა საქმე კი არ გაუგდია ხელიდან, უთხრა:

— უჰ, რავა შემაშინე, კირილე! სა იყავი, გათენებამდი რომ წადი და დეიკარქე?.. აი წალდი რაა ხელში ამ კვირე დილას?

— რაღა რაა, ჩამოსულა ქვეყნის ლიანგი**) და აი სათოხავი ყანა ქე გადუუჭამია.

— ვაიმე! რას მიჩივი, რომელი ყანა, ქალაში თუ? ვისი ოხერი ლიანგი იყო? მერე ამის მეტს აფერს იტყვი?—ახლა კი შეჩერდა მარინე და შეშინებული დააცქერდა ქმარს.

იმის ლამაზ, თუმცა ჯაფისაგან გატეხილ, სახეზე საოცარის სისწრაფით იხატებოდა სულის ყოველი მოძრაობა. ერთი ხელი წელზე შემოედვა, მეორე ხელის მუჭა სავსე ჰქონდა თუთის ფოთოლით. თვალებში ცრემლები მოადგა. იდგა გაუნძრევლად, ტანზე ნარმის პერანგი და წითელი ჩითის ყვავილებიანი წელ-ქვედა კაბა ეცვა, რომელიც წინ ერთობ დამოკლე-

*) აბრეშუმის ჭიის დასასმელია.

**) საქონელი.



მხიარული სტუმარი—სურ. კლამპნერისა.

ბოდა და ტიტველა ფეხები წვივებამდის უჩანდა. მარინე აგერ შვიდი თვის ორსული იყო.

— ეჰ, რა უნდა ვთქვა, თუ ქალი ხარ! გოჯასპირა ხოხორიძის ხარებმა ჩამოხეთქაო.

— ვუი, მიწა გუუსკდა იმას! რეიზა რა უნდა უთხრა; რავა, დიდიკაცი შვილი რომ ყავს, თავზე ხომ არ დაგვაჯდება!

— კი, თქმით რავა არ ვეტყვი, წირვაზე იქნება დღეს, წავალ, ბეჟანიკაის ნახვაც მინდა, მისი ხარებიც იყოო, მარა....

— ნენავ, მშია!

— ნენავ, მეც მშია.—ტირილით მოადგნენ ბავშვები სახლის კარს.

— მეიცაით, მეიცაით პაწია, წაით აქიდან! დედავ აკვირინაი ქე მიატიეს, ქე მიატიეს, რავა ტირის ეგერ ბალანაი!.

ბავშვი მართლაც მტვერში გაგორებული საშინლად ტიროდა.

— აკვირინასაც შია...

— გეიქეცი, ბიჭო, აპოლონავ, ეიყვანე ბალანაი.—დედავ დედავ, აი ციცაი რავა დეიკარქა.—მარინე შეშფოთდა და მიადგა სახლის კარს გარედ გამოსავლად.

— სადაა ციცაი?—იკითხა კირილემ და იმანაც დააპირა გარედ გამოსვლა ბავშვის ასაყვანად.

— სადაა და ცინცამმა გაახებია იმას ფეხი! ბჟოლი მიმაკლდა ერცახე და იმიზა გაგაბზავნე... კი აღარ მევიდა, გინახავს?..

მარინე სწრაფად გამოვიდა გარედ, აიყვანა ბავშვი ხელში, მოთხუპნილი პირი მოუწმინდა კაბის კალთით, გადადგა ფერდობისაკენ და დაიწყო ძახილი:

— ათიინააავ, ათიინააავ!

— მუუალ, მუუალ!—მოისმა წვრილი ბავშური ხმა.

— არ მოგიყვანა ღმერთმა, აღარა! რავა, ვერ მუაწიე ამდოხანს?!—მიაძახა მარინემ და ბავშვით ხელში ისევ წამოვიდა სახლისაკენ. ბავშვები ტირილით მოსდევდნენ და ეწეოდნენ კალთებში.

— ნენავ, მშია, მშია...

— მშია, ნენავ...

— ვოი, გაგისკდა თქვენ მუცელი, აღარა; რავა გამამწარეთ, მეიცანთ პაწაი!—ყაჭს ხომ ვერ დავტიებ დუუპურებელს, მომიკტება შიმშილით; მუა ციცაი აგერ და გამეილებს კვერს ცეხლში... კირილე, დამიკავე ელანძე აი ბალანაი!

— ბალანას კი დაგიკავებ, მარა მეც ქე მშია ძაღლსავით, თუ რამეს მაჭუმ. საყდარზე უნდა წევიდე, საქმე მაქ.

— კი, კი, ამ წამში, ორი ჩაფარაი დამრჩა დასაპურებელი... რავა, საყდარზე მიხვალ და ძღები?

— ვძღები, რავა, ელოგიას კი არ ვიღებ, დღეს იალონს აქეთ ვმუშაობ და მომშივდა!—ცოტა არ იყოს წყენით მიუგო კირილემ.

მარინემ მიაწოდა ქმარს ბავშვი, გაისწორა თავზე წაკონილი ყვითელი ჩითის მოსახვევი და გასწია სახლისაკენ, მაგრამ კარებთან შეჩერდა, მიუბრუნდა ქმარს და უთხრა:

— აბა კაი, ამას ციცაიც ქე დააპურებს... ერთი შეხედე, კირილე, რა ყაჭია! ავ თვალს არ ენახვება! ამ ზედა ჩაფრებს ხვალ ცახი*) უნდა მუუდგა; ნიშანი გააკეთეს; ნახე აგერა მაღლა! მარინემ მიუთითა მაღლა. ჭვარტლისაგან გაშავებულ კედელზე მოსჩანდა ყვითელი დიდი პარკი.—აი შუაი ჩაფრებისაც,—განაგრძო იმან,—დიდ კანშია ამოსრული, ერთ ორჯელ უნდა წაძლომა და აგინიც ხაზირი იქნება ცახიზა: აგინი გუშინ ამევიდა წარბის კანში... ვოი უბედური!—ერთი აგერ დამრჩენია კალთაზე; რა წარბები აქ, უყურე!—მან ფრთხილად მოიძრო კალთიდან თეთრი, გრძელი, შავ წარბებიანი აბრეშუმის ჭია, აკოცა, სიყვარულით და დასვა მაღალ ჩაფარზე. ასლა უნდებიან და იმიზა დაღოღავენ ასე... ქე მოი, ცავ, ათინავ!—მიუბრუნდა ამ დროს მოსულ პატარა ქალს, რომელსაც მხარზე თუთის ფოთლით სავსე ფუთა ედო.

— ჯინჭარი თუ დაადევი ზედ!

— ჯინჭარიც დავადევი და ანწლიკაიც.

— აბა ჰე, ჩემო ნენავ, დააპურე აი ქვედა ჩაფრები! მე აგინს ვაჭუმ რაცხას, თვარა დამარჩვეს თლა.

ათინა იყო ამათი პირმშო ცამეტი წლის ქალი, მაგრამ ისეთი გამხდარი და პატარა, რომ შესახედაობა ათი წლის ბავშვისაც კი არ ჰქონდა. მარინემ ისევ გამოართვა ქმარს ბავშვი და ყველანი წავიდნენ ლომის ნალიისაკენ, რომელიც „ქვეროიით“**) იყო შემოღობილი. ამ ლომის ნალიაში სცხოვრობ-

*) ცხმელას პაცარა შკოებისგან გაკეთებული კარვები. უდგამენ აბრეშუმის ჭიას პარკის გაკეთების დროს, ჭიები ადიან და ფურცლებში აკეთებენ პარკს.

**) ფოთლებიანი ცოცხები.

დნენ ისინი ყაჭობის დროს, როცა „ყაჭი“ გაიზრდებოდა და სახლი ისე გაივსებოდა, რომ დასაწოლი ადგილი აღარ რჩებოდა შიგ. შევიდნენ თუ არა, მარინემ ბავშვი მაშინვე დასვა კარებთან მიწაზე და გამოიღო ნალვერდალში ჩაგდებული მჭადის კვერი, შემოაცალა გამხმარი დამწვარი ფურცელი, ჩამოიღო თაროდან „ხელგობაი“, კვერი პატარ-პატარებათ დასტეხა და დააწყო ზედ; შემდეგ თითო-თითო ნატეხი მიაწოდა ბავშვებს. ბავშვებმა გამოართვეს, დაიჭირეს ხელში და მოლოდინით შესცქეროდნენ დედას თვალებში და არ სჭამდნენ.

— რაღას უცდით? ჭამეთ, ჭამეთ!—შეუტია იმათ მარინემ.

— ხმელაი მჭადი არ მინდა...

— ხმელაი არ მინდა!—ატირდა ორი უფროსი ბავშვი; პატარამაც დაიწყო რაღაც ბუტბუტი და ბანი მისცა იმათ.

— მარინე, მუუფინჩხე პაწაი ყველი, თუ გაქ!—მიუბრუნდა ცოლს კირილე.

მარინე უსიამოვნოდ დაიჭმუხვნა, წამოდგა და წავიდა კუთხისაკენ უკმაყოფილო ბუზღუნით.

— აფერს არ დამიყენებენ!.. ერთი ჭაჭუტაი *) მიგდი დერგში... კვერს რაღა მისაჭმელი უნდა!..

ამოიღო ქილიდან პატარა ხელეური ყველი, დატეხა პაწია ნატეხებად და თითო-თითო დაურიგა ბავშვებს; ერთი უფრო მოზრდილი ნატეხი მიაწოდა ქმარსაც და ჩამოჯდა ჯორკოზე. კირილემ კი ამასობაში დაიბანა პირი, მოიწმინდა ჩოხის კალთით, გაისწორა ფეხებზე ქალამნის თასმები, წაიკონა თავზე ყაბალახი და გაუწოდა ცოლს მჭადისა და ყველისათვის ხელი. კირილე დაღონებული იყო და სახეზე მოუსვენრობა და მზრუნველობა ეტყობოდა, მაგრამ, როცა შეხედა ცოლის გაჯავრებულ სახეს, გაიღიმა და უთხრა:

— საქონელმა ყანა დაგვიჭამა, იგი არ გწყენია ასე, და აი ყველის დახარჯვა ბაღნებიზა რეიზა გეწყინა ამისიანცეთ? კუჭობა რომ არ გშვენის!

მარინე, თითქოს ამ სიტყვებს ელოდაო, დარცხვენილის სიკეკლუცით ოდნავის ღიმილით გადაჰხედა ქმარს და ადგა. კირილე კმაყოფილის ღიმილით ფეხზე მდგარი შეექცეოდა ქმარს და დაიწყო ტანისამოსის სწორება, გადაიძრო თავზე „ცახოცი“, რომ კიდევ უფრო კოხტად დაეხურა. ამ წამში მარინე მართლაც ლამაზი და მიმზიდველი იყო: დიდრონი შავი თვალები, სწორი ცხვირი, მარგალიტივით თეთრი მაგარი კბილები, ორი ნაწნავი წაბლის ფერი თმა და ბედნიერებით გაშუქებული სახე, რომელზედაც ორსულობას რაღაც იდუმალობა აღებეჭდა და საპატიოდ ხდიდა მთელ იმის სანახაობას. მარინე თითქოს ჰგრძნობდა თავის დიად მოვალეობას, უკან გადახრილიყო, თავი მაღლა აეწია, თითქოს ამაყობდა იმით, რომ ის იყო ცოლი და დედა და პირნათლად შესცქეროდა მთელ კაცობრიობას. ქმრის ალერსიანი სიტყვები თბილად მოჰხვდა იმის გულს და, რომ კიდევ უფრო მოეგო მისი გული, შეხედა ქმარს და მერმე მუცელზე დაიხედა, თითქოს უნდოდა ეთქვა: „აი როგორ მიყვარხარ შენც და შენი შვილებიც: თავს არ ვზოგავ და ყველს როგორ დავზოგავდიო“. კირილე თითქოს მიხვდა ცოლის გულის თქმას, კიდევ უფრო გაცინებული, მეტის სიამოვნებით სჭამდა საჭმელს.

— არა, მე ვჩივი, ფურცლიან კვერს რაღა იგი!.. მეთქი, თვარა...—თქვა მარინემ და გაიცინა.

— ნენაი იცინის, ნენაი კიდო მოგვცემს ყველს,—გაევხია დედის კალთაში პატარა მომურული ამირანი და გაუშვირა დედას ხელები. მარინე მსწრაფლ დაიხარა, აიღო დანარჩენი ყველი, გატეხა ორად, ერთი უმცროსი ნატეხი ისევ დადვა თავის ადგილას.

— აგი ათინას და აი თქვენ, აჰა!—დატეხა და მიაწოდა ყველას. ბავშვებმა სიხარულით ხტუნაობა დაიწყეს და გაცვივდნენ გარედ.

— აი გიდი, მარინე, რა ქალი ხარ!

— კაი თუ ვარ, შენ გიხაროდეს.

— აბა არ მიხარია?!—გადიხარხარა კირილემ.

— დაბერდი და რაღა დროის მაგისთანაის ლაპარიკია!—კოხტაობით მიუგო მარინემ.

— დავბერდიი? შენ კი მოგწონვარ და...—კირილემ გადაიწკვერტა ულვაშები, აათვალ-ჩაათვალიერა თავისი ტანისამოსი და ქალამნები, მარინეც სიყვარულით გაღიმებული ადევნებდა იმას თვალებს.

— წაი აწე, თვარა ქე გამოსწირავს ჩვენი ხუცესი და დარჩები ცარიელი!—უთხრა მარინემ.



ბაქო. ზღვაში მობანავეთ შეუძლიანთ „დასტკბნენ“ საზამთროსა და ნესვის ქერქებით, ნაგვისა და ჭუჭყიან ნავთის ზილვით და შიგ ბანაობით.



ბაქო. კრიზისის გამო ბევრი ბაქოელ მწარმოებელთაგანი ციხეში ბრძანდებიან, მაგრამ ეს ხელსაყრელი გარემოებაა იმათ ცოლებისათვის, რომელნიც ამ შემთხვევას „უბედურ შემთხვევას“ უწოდებენ და თითონ თავისუფლებითაც სარგებლობენ და ქმრებისაგან მიმალულ სიმდიდრითაც, თავიანთ მოარშიყეთა დასაჯილდოებლად.

მჭადსა და ყველს და სიყვარულით შესცქეროდა ცოლის გაღიმებულ, გამხიარულებულ სახეს. ეტყობოდა, მოსწონდა ის. მარინეს ინსტიქტიურად მოუნდა, კიდევ უფრო მოსწონებოდა

*) პატარა ყველი.

— ოჯო, წირვის მისტრობიზა არ ვიკლავ თავს, ხოხორიძის ნახვა მინდა, მიველაპარიკო, ხარებმა რომ გადამიჭამა ყანა.—კირილემ ისევ დაფიქრებული შესახედაობა მიიღო.

— თუ უნდა, ბჟოლათ გადაგვიხადოს,—მიუგო ცოლმა.— მერე, რომ იცოდე კირილე, რა ბჟოლები აქ! გუშინ ვეხვეწე ოროლ მანათათ, არ იძლევა, სამ სამს თხონილობს ძირში.

— ეე, ამას მისი ყაჭი ახსოვს! ჩვენ საჭმელი არ გვექნება და აი ყაჭის საჭმელიზა ზრუნავს.—მარინემ რაღაცას თქმა დააპირა, მაგრამ კირილემ სწრაფად განაგრძო:—კი, კი, ვეტყვი!—გაიფშვნიტა მჭადიანი ხელი და წავიდა, მაგრამ კარებში შეჩერდა, გაიცინა და სთქვა:

—კაი მოყოლა ბჟოლი კი დუუჩხოტეთ*) ჩვენ იმას წროულს.

— ნეტაი იგი ბჟოლებიც ისე სახლის წინ არ იყოს, რომ ამდოხანსაც მომეჩხოტა, მარა თავის ნებით თუ არ მოგვცემს, მოგეცა ლხენა, შენ იმის მოსაჩხოტათ გაგაგზანო ამალამ! წაი, წაი ახლა.

ნინო ნაკაშიძე.

(შემდეგი იქნება)

*) ფურცლის დაკრეფა.




ბაქო. ბაქოს კლუბში მომხდარ ინციდენტის გამო. კლუბში პატარების სამსახური იწვევს სხვა-და-სხვა მწ·რე ფიქრებს, მით უფრო, რომ ერთი თვის წინად, ამ კლუბში ადგილი ჰქონდა ერთს გარყვნილ და გამხრწნელ წინადადებას...




ბაქო. გაზ. „კასპის“ რედაქციასთან არსებობს ქალების ბაზარი, სადაც ყოველ დილით ჰნახავთ როგორ ურიგდებიან სხვა-და-სხვა შუა-კაცები „ადგილზე“ დასაყენებლად. ლამაზნი ადრიანადვე შოულობენ „ადგილს“ და ხდებიან გარყვნილების მსხვერპლნი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 13 сентября 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.